საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3483
15/07/2022

3483-21-2-202207150959

შპს „ურბან სფეისს“
მის: ქ. თბილისი, ქობულეთის ქუჩა № 3/15, ბინა 97
ელ. ფოსტა: mariamepremidze17@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის №2503 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. დიდ ლილოში 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებასა და 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, გეგმარებითი ობიექტის ადგილმდებარეობისა და პროექტის აღწერის თავში აღნიშნულია, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, ხოლო ამავე თავში მითითებულია რომ იგეგმება საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების მოწყობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო მასალების, მათი ტრანსპორტირების და დროებით განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი (ტიპებისა და რაოდენობების მითითებით);
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში მოსაწყობი დროებითი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყლის გამოყენების, ასევე, ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის (22 000 $მ^3$) დროებით განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს პროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დროებით განთავსებისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში განხილული არ არის არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილ გეოლოგიურ რუკაზე არ არის დატანილი კოორდინატთა ბადე და სტრატიგრაფიული ერთეულები მოცემულია შესაბამისი ფერების გარეშე, ასევე დანართის სახით წარმოდგენილ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში მოცემული „ქ. თბილისის გეოლოგიური რუკა“ დაბალი გარჩევადობისაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო